საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიყის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414

KA000007217172620

№ 38-ი

06 / ნოემბერი / 2020 წ.

# განკარგულება

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

**მუხლი 1**

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი N2 საშუალო სკოლის მე-3 სართულის 231.41 კვ.მ ფართის ს/კ 54.01.56.222 ქორეოგრაფიული სტუდია ქურმუხისთვის (ხელმძღვანელი ინდ.მეწარმე კაკი ლობჟანიძე , პირ:N25001035909/ სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გაცემის თაობაზე.

**მუხლი2**

ქ.ლაგოდეხში, ზაქათლის ქუჩაზე მდებარე ყოფილი N2 საშუალო სკოლის მე-3 სართულის 231.41 კვ.მ ფართის (ს/კ 54.01.56.222) წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -1850 /ათას რვაას ორმოცდაათი) ლარი.

**მუხლი3**

ქორეოგრაფიული სტუდია ქურმუხის (ხელმძღვანელი ინდ.მეწარმე კაკი ლობჟანიძე პირ:N25001035909/ მიერ ქონების სასყიდლიანი სარგებლობის პერიოდში, აღნიშნული ფართის გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯი, ჩაეთვალოს საიჯარო ქირაში, მას შემდეგ რაც წარმოადგენს განხორციელებული ინვესტიციის დასადასტურებლად აუდიტორულ შეფასებას.

**მუხლი4**

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მუხლი5**

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

კარლო ჯამბურია